სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №11

ხარაგაული: **25 იანვარი 2021 წელი.**

ერთის მხრივ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის **კობა ლურსმანაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **ინდ. მეწარმე „ომარი დოღონაძე“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი **ი./მ. ომარი დოღონაძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 “ხელშეკრულების ჯამური ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ (დაწესებულებამ), მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;
1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას, მომსახურების გაწევას ან სამუშაო(ები)ს შესრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
1.6 ,,შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის **ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის** საჭიროებიდან გამომდინარე აუდიტორული მომსახურების შესყიდვა.
2.2 კლასიფიკატორის კოდი – CPV79212000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **4500 (ოთხი ათას ხუთასი)** ლარს.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს შესყიდვის ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
4.2. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4.3 იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს ,,შემსყიდველი."
4.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობას განხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლის ჯგუფის ან/და შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადა

5.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების დადებიდან **2021 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით.**
5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება მისამართზე, დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქ N15-ში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ერთჯერადად ან/და ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების ვადა ითვლება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის კონტროლის ჯგუფის ან/და შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების დადასტურების დღე.
6.3 ფაქტიური შესრულების დამტკიცებას ახორციელებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, ეროვნული ვალუტით ლარში;
7.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ერთჯერადად ან/და ეტაპობრივად (თვეში არაუმეტეს 1 ჯერ) მიმწოდებლისაგან ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა ხელმოწერიდან არაუგვიანეს **10 (ათი)** სამუშაო დღის განმავლობაში;

8. გარანტია და პასუხისმგებლობა

8.1 მიმწოდებლის მიერ აუდიტორული მომსახურების დროს, მის მიერ მომზადებულ დოკუმენტაციებთან მიმართებაში გამოვლენილი უზუსტობების ან/და შეუსაბამობები შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, მუნიციპალიტეტის მიერ წერილობითი მიმართვიდან გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა), საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა და კორექტირებული დოკუმენტაციის მიწოდება შემსყიდველისათვის.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან წერილობითი შეთანხმების გარეშე.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და განიხილება ხელშეკრულებასთან ერთად.

10. ქვეკონტრაქტორები

10.1 ,,მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის შესახებ.
10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში (არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა) წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

12. მხარეთა უფლება–მოვალეობები

12.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:
–შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია.
12.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:
– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
12.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
–მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
12.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:
–დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

13. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

13.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, აღნიშნულ ხელშეკრულებაში არ გამოიყენება.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებლი“–ს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
14.2 თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02%–ის ოდენობით.
14.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 14.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
14.4 ამ ხელშეკრულების 14.3 და 15.1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარემ რომელმაც არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% (ათი) პროცენტის ოდენობით. მეორე მხარის სასარგებლოდ.
14.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მოწოდებული საქონლის, გაწეული მომსახურების ან/და შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
14.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყონებლივ;
15.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16. დაუძლეველი ძალა

16.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ.
16.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
16.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

17. სადავო საკითხების გადაწყვეტა

17.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2022 წლის 30 იანვარის ჩათვლით.**
19.2 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

20. ინტერესთა კონფლიქტი:

20.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

21. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ს/კ 243570989 **მისამართი. ხარაგაული 9 აპრილის ქ, N15** **ტელ.0433220073** **მობ. 599852605** **ბანკის კოდი: TRESGE22** **ანგარიშის ნომერი:200122900.** **ელ- ფოსტა** kharagauli.municipality@gmail.com	**ინდ. მეწარმე „ომარი დოღონაძე“** **ს/კ 60001044858** **მისამართი. ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შეს, ბ.30/16** **ტელ; 595 935 193** **ელ.ფოსტა : dogonadze1956@gmail.com** **სს „თიბისი ბანკი“** **TBCBGE 22** **ა.ა. GE25TB7067645061100060**
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი **კობა ლურსმანაშვილი**	**ინდ. მეწარმე ომარი დოღონაძე**
Koba Lursmanashvili Digitally signed by Koba Lursmanashvili Date: 2021.01.25 17:24:03 +04'00' ----------	----------